საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #182

1 დეკემბერი 2010

თბილისი, საქართველო

2010 წლის 1 დეკემბერს, 15:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი: ლევან გახელაძე, მამუკა ფაჩუაშვილი,ნინო დანელია, დავით აფრასიძე, დავით კანდელაკი, ემზარ გოგუაძე, ნოდარ სარჯველაძე, ბაკურ სულაკაური, ზურაბ დავითაშვილი, გიორგი მელაძე, გიგა ნასარიძე, ოთარ კობერიძე და ავთანდილ ანთიძე. სხდომას არ ესწრებოდნენ: ლია ჩახუნაშვილი და შორეანა შავერდაშვილი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცება.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას ლევან გახელაძე უძღვებოდა, საბჭოს წევრებმა განაგრძეს წინა სხდომაზე დაწყებული 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. პროდიუსინგის ნაწილში დეტალური ინფორმაცია საბჭოს წევრებს გენერალურმა დირექტორმა და დირექტორის მოადგილემ პროდიუსინგის დარგში გიორგი გაჩეჩილაძემ მიაწოდეს. 2011 წლის ბიუჯეტის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, საკითხის განხილვის დასრულების შემდგომ საბჭოს დავმჯდომარემ კენჭის ყრაზე, დასამტკიცებლად დააყენა მაუწყებლის 2011 წლის ბიუჯეტი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. (გადწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა 16:30 საათზე, შემდეგი სხდომა გაიმართება 2010 წლის 6 დეკემბერს 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე: ლევან გახელაძე

სხდომის მდივანი: ირინე ზაქარიაშვილი